საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი №8

ქ. თბილისი **24.04.2014**

სხდომას ესწრებოდნენ:

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წევრები:

ირაკლი მაჩაბელი - ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის პროფესორი; სხდომის თავმჯდომარე;
მაია ჩიხლაძე - შპს - საზოგადოებრივ კოლეჯ „პანაცეას" დირექტორის მოადგილე, მედიცინის დოქტორი; საბჭოს მდივანი;
ნანა გაფრინდაშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი; სხდომის თავმჯდომარე;
ზაზა მარუაშვილი - შპს - კავკასიის უნივერსიტეტის პროფესორი;
მამია ჯანჯალია - სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უფროსის მოადგილე;
დავით კახნიაშვილი - საქართველოს კერძო სკოლების ასოციაციის თავმჯდომარე; შპს - თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ლიცეუმ „მწიგნობართუხუცესის" დირექტორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები:
გიორგი ცხვედიანი - აკრედიტაციის სამმართველოს უფროსი;
ლიკა გიორგაძე - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტი;
ლევან მადათოვი - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტი;
თამარ აფრასიძე - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტი.

აკრედიტაციის ექსპერტები:

ელენე კიკალიშვილი;
მაია მარგველაშვილი;
ვაჟა ტრაპაიძე;
ლია მაჭავარიანი;
ბესარიონ ლასარეიშვილი;
ნანი არაბული;
ნანა იაშვილი.

საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

შპს - ევროპის სასწავლო უნივერსიტეტი:

მაია ხურცილავა - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მენეჯერი;
მაია თეთრუაშვილი - ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულების ხელმძღვანელი.

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის წარმომადგენლები:

სერგო ვარდოსანიძე - რექტორი;
ნოდარ პავლიაშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ვახტანგ გვახარია - პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი;
გიორგი ალექსიძე - პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი.

ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი:

ნუგზარ ამილახვარი - ჟურნალისტიკისა და მედია-მენეჯმენტის კავკასიური სკოლის დეკანი;
ბიძინა ბარათაშვილი - ასისტენტი;
ალექსანდრე ასათიანი - ადმინისტრაციული კოორდინატორი;
ნათია მეტრეველი - ხარისხის მართვის მენეჯერი.

სხდომა დაიწყო 14:20 საათზე. საბჭოს მდივანმა შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 26-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, რადგან სხდომას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. საბჭოს მდივანმა საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 28-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

თავჯდომარისა და მისი მოადგილის არყოფნის გამო, საბჭოს წევრებმა სხდომის თავმჯდომარედ ერთხმად აირჩიეს ირაკლი მაჩაბელი.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

1. შპს - ევროპის სასწავლო უნივერსიტეტის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს - ევროპის სასწავლო უნივერსიტეტის ტურიზმის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. შპს - ევროპის სასწავლო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის მედია-ინჟინერიის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ბიოტექნოლოგიის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
6. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ეკოლოგიისა და გარემოს დაცვის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
7. შპს - საქართველოს უნივერსიტეტის დიპლომირებული სტომატოლოგის (ინგლისურენოვანი) ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება ან ხომ არ ჰქონდათ დღის წესრიგთან დაკავშირებით რაიმე შუამდგომლობა.

გიორგი ცხვედიანმა საბჭოს გააცნო ცენტრში შემოსული შპს - საქართველოს უნივერსიტეტის შუამდგომლობა, რომლის მიხედვით, დაწესებულებას ექსპერტის დასკვნაზე მითითებულ ფაქტებსა და გარემოებებზე განმარტების წარმოსადგენად მეტი დრო ესაჭიროებოდა, და აღნიშნული საფუძვლით, ითხოვდა საკითხის გადადებას შემდეგი საბჭოსათვის, ასევე ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის შუამდგომლობა, მედია-ინჟინერიის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის საბჭოს სხომის ბოლოს განხილვის თაობაზე. ასევე, ექსპერტმა, ელენე კიკალიშვილმა ითხოვა შპს - ევროპის სასწავლო უნივერსიტეტის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა გათვალისწინებული ყოფილიყო დღის წესრიგის მე-2 საკითხად.

საბჭომ იმსჯელა და დაამტკიცა სხდომის დღის წესრიგი განახლებული რედაქციით

1. შპს - ევროპის სასწავლო უნივერსიტეტის ტურიზმის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს - ევროპის სასწავლო უნივერსიტეტის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. შპს - ევროპის სასწავლო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ბიოტექნოლოგიის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ეკოლოგიისა და გარემოს დაცვის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
6. ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის მედია-ინჟინერიის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

ირაკლი მაჩაბელმა განაცხადა თვითაცილება 4-5 საკითხთან დაკავშირებით, დაწესებულებასთან თანამშრომლობის გამო.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს და სთხოვა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულებების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამების თვითშეფასების ანგარიშებსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფების დასკვნებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებულ მხარეთა წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს. მხარეებმა დაადასტურეს, რომ აღნიშნულ დოკუმენტაციას იცნობდნენ.

1. შპს - ევროპის სასწავლო უნივერსიტეტის ტურიზმის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება	ტურიზმის ადმინისტრირება
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ტურიზმში
სწავლების ენა	ქართული
კვალიფიკაციის კოდი	0205
კრედიტების რაოდენობა	240

საკითხი საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტმა მაია მარგველაშვილმა, რომელმაც საბჭოს გააცნო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

- პროგრამის კონცეპტუალურ ნაწილში - პროგრამის მიზანი, კვალიფიკაცია ფორმულირებულია, როგორც „ტურიზმის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი" ნაცვლად ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრისა ტურიზმში;
- მიზანშეწონილია, ყველა საგანს არ ჰქონდეს წინაპირობა, რადგან ერთ საგანში შეფასების მიუღებლობის შემთხვევაში სტუდენტი ფაქტიურად ვეღარ აგრძელებს სწავლას და ასევე გადამოწმდეს წინაპირობებში მითითებული კოდების საგნის დასახელებები;
- პროგრამაში რიგი საგნებისა არჩევით ნაწილშია გადატანილი, როცა ტურიზმის სწავლებაში ისინი სავალდებულოდ მოიაზრება, მაგ. ტურისტული ბიზნესის სტატისტიკა, კორპორაციათა ფინანსები, მმართველობითი აღრიცხვა.

ექსპერტმა გაახმოვანა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში სტანდარტის შესაბამის ნაწილებში დაფიქსირებული უარყოფითი შეფასებები.

მაია მარგველაშვილის თქმით, აკადემიური პერსონალის პირად საქმეში წარმოდგენილი იყო კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები, თუმცა, არ უდასტურდებოდათ გამოქვეყნებები, შრომები შესაბამისი მიმართულებით.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა 1.2 სტანდარტთან დაკავშირებით განმარტა, რომ აღნიშნული ასახული იყო პროგრამაში, თუმცა, გადატანილი არ იყო სილაბუსებში. საკითხი ფართოდ იყო გაშლილი და ამდენად, არ მიიჩნიეს საჭიროდ სილაბუსებში მათი განმეორება. წარმომადგენლის თქმით, მეთოდებიც ადექვატურად იყო მოცემული, დისკუსიისა და დებატების გარდა გამოიყენებოდა სხვა მეთოდებიც.

საბჭომ სთხოვა ექსპერტს დაეზუსტებინა, რას გულისხმობდა დასკვნაში მოხსენიებული „ზოგიერთი საგნის სილაბუსი", კერძოდ რომელი სასწავლო კურსები ჰქონდა მხედველობაში.

ექსპერტის თქმით, ტურიზმის მიმართულებაში ყველგან იყო აღნიშნული პრობლემა. ექსპერტმა ასევე გაამახვილა ყურადღება თანამედროვე დასავლური ლიტერატურის გამოყენების აუცილებლობაზე, პროგრამის მიზნებისთვის.

ნანა გაფრინდაშვილი დაინტერესდა, თუ ლიტერატურა ქართულ ენაზე იყო, კონკრეტულად რაში მდგომარეობდა პრობლემა. ექსპერტის თქმით, ლიტერატურის დიდი ნაწილი რუსულიდან იყო თარგმნილი, გამოყენებული იყო არასწორი ტერმინოლოგია, რაც მიუღებელი იყო. ექსპერტის თქმით, ამ ლიტერატურის ჯერ ინგლისურიდან რუსულად, შემდეგ კი რუსულიდან ქართულად თარგმნა მოხდა და საკმაოდ უხარისხო იყო.

ნანა გაფრინდაშვილი დაინტერესდა, პროგრამის მიზნების შესაბამისი ქართულენოვანი ლიტერატურა თუ იყო გათვალისწინებული პროგრამით.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განმარტა, რომ სწავლების პროცესში იყენებდნენ ქართულენოვან რიდერებს.

ნანა გაფრინდაშვილმა ურჩია დაწესებულების წარმომადგნელებს, დამატებით ლიტერატურად მაინც გაეთვალისწინებიათ ინგლისურენოვანი ლიტერატურა.

მაია თეთრუაშვილმა აღნიშნა, რომ რომ 2013 წელს ტურიზმის მიმართულებით ა(ა)იპ - წმიდა ანდრია პირველწოდებულის ქართულმა უნივერსიტეტმა და სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახლობის უნივერსიტეტმა უნივერსიტეტმა თარგმნეს ლიტერატურა და ამ თარგმანებს იყენებდნენ.

სწავლების მეთოდებთან დაკავშირებით წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სამიზნე ჯგუფის ყოლის გარეშე წინასწარ ვერ განსაზღვრავდა კონკრეტულად რომელი მეთოდის გამოყენება იქნებოდა საჭირო, ამდენად, წინასწარ არ გაწერა ამის შესახებ კვირების და თემების მიხედვით, მისი თქმით, ეს მხოლოდ ხელოვნური ჩანაწერი იქნებოდა.

ექსპერტი არ დაეთანხმა დაწესებულების წარმომადგენელს და მოიყვანა ერთერთი პროფესორის მაგალითი, რომელსაც თემატურად ჰქონდა გაწერილი მეთოდები და ინტერვიუს დროს აღნიშნა, რომ ყველა ლექციაზე იყენებდა დებატების მეთოდს.

ზაზა მარუაშვილმა ექსპერტს სთხოვა დაეზუსტებინა, რას გულისხმობდა დასკვნაში დაფიქსირებული ჩანაწერი, რომ ლექტორი დამოუკიდებლად არ ირჩევდა მეთოდებს.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ ინტერვიუს დროს აკადემიურმა პერსონალმა აღნიშნა, რომ მოქმედებდნენ ხარისხის სამსახურის თანამშრომლის მითითებების მიხედვით, რაც მიზანშეწონილი არ იყო.

1.3 სტანდარტთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სტანდარტმა სხვაგვარი შეფასება მიიღო, ადასტურებდნენ, რომ ბაკალავრიატის დონეს შეესაბამებოდა წარმოდგენილი სასწავლო კურსები.

ნანა გაფრინდაშვილმა სთხოვა ექსპერტს, დაეზუსტებინა, მთლიანობაში, როგორი წარმოდგენა დარჩათ, პროგრამა კარგი იყო და მხოლოდ ადამიანური რესურსის მხრივ ხედავდნენ პრობლემას?

ექსპერტმა აღნიშნა, რომ კარგად გარკვეულები იყვნენ მიმართულების ხელმძღვანელი და ხარისხის უზრუნველყოფის მენჯერი, თუმცა, პროგრამის ხელმძღვანელმა ვერ შეძლო პასუხის გაცემა რიგ კითხვებზე.

დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერმა აღნიშნა, რომ ბუნებრივი იყო, ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი და მიმართულების ხელმძღვანელი კარგად იყვნენ გარკვეულები პროგრამაში, იმდენად, რამდენადაც ერთად შეიმუშავეს, სწავლის შედეგები ერთად განსაზღვრეს და ა.შ.

ადამიანური რესურსის შესაბამისობის შესახებ წარმომადგენლმა აღნიშნა, რომ პერსონალის კვალიფიკაცია დასტურდებოდა მათთვის დოქტორის ხარისხის მიმნიჭებელი აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, ამდენად, კვალიფიკაციის პრობლემა არ უნდა შექმნილიყო.

კახნიაშვილმა კვლავ სთხოვა დაზუსტება ექსპერტს, მისი აზრით, პროგრამა მთლიანობაში ადამიანური რესურსის გათვალისწინებით, გავიდოდა სასურველ შედეგზე თუ ვერა. ექსპერტმა დაადასტურა, რომ მისი მოსაზრებით, წარმოდგენილი ადამიანური რესურსით პროგრამა შედეგზე ვერ გავიდოდა.

მაია ჩიხლაძემ მიუთითა ექსპერტს დასკვნაში 1.3 და 2.3 სტანდარტებზე, სადაც მისი აზრით, ურთიერთგამომრიცხავი რამ ეწერა, ერთ შემთხვევაში ექსპერტთა ჯგუფი მიუთითებდა, რომ ერთობლიობა ვერ გავიდოდა სწავლის შედეგზე, ხოლო მეორე შემთხვევაში, ექსპერტი ლოგიკურ თანმიმდევრობაზე საუბრობდა.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ მთლიანობაში იგრძნობოდა, რომ სათანადოდ არ იყვნენ ჩართულები არც დამსაქმებლები, არც განმახორციელებლები პროგრამის შემუშავებისა და გაუმჯობესების პროცესში, დასკვნაში ექსპერტთა მხრიდან ობიექტური შეფასებები გამოითქვა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პროგრამის ხელმძღვანელი იმავდროულად იყო ერთერთი ტურისტული კომპანიის ხელმძღვანელი, აღნიშნულ

კომპანიაში შეიძლებოდა პრაქტიკის განხორციელება. მას დაცული ჰქონდა ხარისხი საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით. წარმომადგენელმა საბჭოს წაუკითხა მისი შრომების ჩამონათვალი.

ზაზა მარუაშვილმა აღნიშნა, რომ დაზუსტება ჭირდებოდა მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან დაკავშირებით დაფიქსირებულ მოსაზრებასთან დაკავშირებით.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, მეორე აბზაცში ეწერა ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ტურიზმში, რაც ცოტა ვრცლად გამოდიოდა, ამდენად, შემოკლებით, ზოგჯერ სხვაგვარადაც მოიხსენიებდნენ.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ ტექსტის კონცეპტუალურ ნაწილში ეწერაა ტურიზმის ბაკალავრი ხოლო შინაარსობრივად მიესადაგებოდა კვალიფიკაცია - ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ტურიზმში.

2. შპს - ევროპის სასწავლო უნივერსიტეტის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება	ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა არაქართულენოვანთათვის.
კრედიტების რაოდენობა	60

საკითხი საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტმა ელენე კიკალიშვილმა, რომელმაც საბჭოს გააცნო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

- სასურველია, კურსების ფარგლებში კომუნიკაციურ მეთოდზე დაყრდნობით შეიქმნას დამატებითი მასალები, რომლებიც უზრუნველყოფს მოსმენის, წერის, კითხვის და საუბრის უნარების განვითარებას;
- პროგრამის კურსებში შეიქმნას დავალებები და აქტივობები, რომლებიც დაეხმარება სტუდენტებს ყოველდღიურ სტრუქტურებთან ურთიერთობასა და ინტეგრაციაში;
- სასურველია, ინტერნაციონალიზაციისათვის კავშირები ისეთ უნივერსიტეტებთან, რომლებიც ახორციელებენ მეორე ენის სწავლებას.

ექსპერტმა განმარტა, რომ მხოლოდ თეორიულად გრამატიკული წესის ცოდნა არაფერს აძლევდა სტუდენტს.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა პირველ რეკომენდაციას და აღნიშნა, რომ აუცილებლად გაითვალისწინებდნენ მომავალი სტუდენტების დონეს და მიუსადაგებდნენ პროგრამას. მნიშვნელოვანი იყო დარგობრივი ლექსიკას, როდესაც სტუდენტი სკოლის ცოდნით მიდიოდა უნივერსიტეტში პირველ კურსზე და არ ჰქონდა.

B2 დონის ენის ცოდნასთან დაკავშირებით უნივერსიტეტის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ აღნიშნული გათვლილი იყო რეალურ შედეგზე, თუ სტუდენტი ნამდვილად მივიდოდა ამ დონემდე მომავაში შეძლებდა ამ ბაზაზე ცოდნის დაშენებას.

პროგრამით განსაზღვრულ ლიტერატურასთან დაკავშირებით წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ენის ცოდნას ვერ უზრუნველყოფდა მხოლოდ თანამედროვე ტექნოლოგიები. თუმცა საკმაოდ გამოსადეგი იყო ვებგვერდი „reading.ge".

ექსპერტის მოსაზრებით, დარგობრივი ლექსიკა, რაც პროგრამით იყო გათვალისწინებული, სკოლის ცოდნის დონის იყო, ამდენად, არ უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი პროგრამის ფარგლებში.

ნანა გაფრინდაშვილმა აღნიშნა, რომ ქვეყანათმცოდნეობა არ იყო პრიორიტეტული ამ სასწავლო კურსისათვის და არ უნდა დახარჯულიყო მასზე დრო. წარმომადგენლის მიერ ჩამოთვლილი ლიტერატურით სარგებლობდა საქართველოს ყველა უნივერსიტეტი და ზოგადად ამით ფორმირდებოდა ეს დარგი. მისი აზრით, სახელმძღვანელოების ბრალი არ იყო, რომ აზერბაიჯანულმა მოსახლეობამ ქართული ენა არ იცოდა.

3. შპს - ევროპის სასწავლო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირება
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი
სწავლების ენა	ქართული
კვალიფიკაციის კოდი	02
კრედიტების რაოდენობა	240

საკითხი საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტმა მაია მარგველაშვილმა, რომელმაც აღნიშნა, რომ ექსპერტებს მსგავსი მოსაზრებები ჰქონდათ ბიზნესის ადმინისტრირების და ტურიზმის საბაკალავრო პროგრამებთან დაკავშირებით, ამდენად, რიგი მოსაზრება, პროგრამის გაუმჯობესების შესახებ, განმეორდებოდა და აღარ ჩაუღრმავდებოდა.

ექსპერტმა საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

- საბაკალაბრო პროგრამის თითქმის ყველა სილაბუსში სწავლების მეთოდები ზოგადია და არ იძლევა რეალურ წაროდგენას, როგორ ხდება სწავლება. საჭიროა ყველა დისციპლინისათვის, შესაბამისი სწავლების მეთოდებისა და ფორმების გამოყენებით, დაწვრილებით და ნათლად იყოს გაწერილი სტუდენტთა შეფასების სისტემა;
- მიზანშეწონილია, ყველა საგანს არ ჰქონდეს წინაპირობა, რადგან ერთ საგანში შეფასების მიუღებლობის შემთხვევაში, სტუდენტი, ფაქტიურად ვეღარ აგრძელებს სწავლას და ასევე, გადამოწმდეს წინაპირობებში მითითებული კოდების საგნის დასახელებები. (მაგ. სტატისტიკის საფუძვლები, რომელშიც კრედიტის მიუღებლობის შემთხვევაში სტუდენტი არ დაიშვება სასწავლო კურსზე მათემატიკა ეკონომიკასა და ბიზნესში, ფინანსური აღრიცხვა, საერთაშორისო ბიზნესი - თუმცა, სილაბუსში ბიზნესის საფუძვლებია მითითებული, მარკეტინგის საფუძვლებზე და ა.შ.)
- მიზანშეწონილია, პროგრამის სტრუქტურის სავალდებულო კომპონენტის გარკვეულწილად რედაქტირება, კერძოდ, მიზანშეწონილია საგანმანათებლო პროგრამის სავალდებულო საგნებიდან ზოგიერთს შეეცვალოს სტატუსი და გახდეს არჩევითი. 226 კრედიტი სავალდებულოა.
- მიზანშეწონილია, სტუდენტებმა ისწავლონ არა მათემატიკა ეკონომიკისა და ბიზნესისთვის, არამედ ბიზნეს მათემატიკა/ბიზნესისთვის (რომლის მსოფლიო გამოცდილება არსებობს) რადგან სპეციალობა არის ბიზნეს ადმინისტრირება და არა ეკონომიკა;
- მიზანშეწონილია, ცალკეულ სასწავლო კურსებში (მაგალითად, მენეჯმენტის საფუძვლები) მიეთითოს სასწავლო ლიტერატურის შედარებით ახალი გამოცემები;
- სასურველია, ცალკეულ სასწავლო კურსის სილაბუსი ძირითად და/ან დამხმარე ლიტერატურის ჩამონათვალი შეივსოს მსოფლიოში აღიარებული და ქართულ ენაზე თარგმნილი სახელმღვანელოებით.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა. დაწესებულების წარმომადგენელმა პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის განხილვისას უკვე გააკეთა განმარტება და აღარ მიუბრუნდებოდა საკითხს, ამ შემთხვევაშიც, ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის მსგავსად, კვირების მიხედვით გაწერაზე იყოს საუბარი.

მეორე რეკომენდაციასთან დაკავშირებით, წარმომადგენლის თქმით, ექსპერტმა მაია გონაშვილმა ტექნიკური ხასიათს შეცდომა დაუშვა, როდესაც დასკვნაში აღნიშნა, რომ მათემატიკის სასწავლო კურსზე დასაშვებად სტუდენტს გავლილი უნდა ჰქონოდა სტატისტიკა, წარმომადგენლის განცხადებით, პროგრამაში პირიქით იყო მოცემული,

სტატისტიკის სასწავლო კურსზე არ დაიოშვებოდა სტუდენტი მათემატიკის სასწავლო კურსის გავლის გარეშე.

ექსპერტმა, მაია მარგველაშვილმა აღნიშნა, რომ დასკვნაში სწორად იყო ასახული, პასუხს აგებდა ინფორმაციის სისწორეზე. ამასთან, მსგავსი პრინციპით, ბიზნესის საფუძვლები იყო მარკეტინგის საფუძვლების წინაპირობა.

წარმომადგენლის განცხადებით, მარკეტინგის საფუძვლების წინაპირობა გათვალისწინებული ჰქონდათ, მისი მოსაზრებით, ექსპერტებს ეს მხედველობის მიღმა დარჩათ, დეტალურად არ გაეცნენ მასალებს.

სასწავლო კურსების არჩევითობის დაბალი ხარისხის შესახებ წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არჩევითი კურსები 226 კრედიტშიც იყო გათვალისწინებული, მასში შედიოდა [illegible] 226 კრედიტშიც იყო გათვალისწინებული, მასში შედიოდა უცხო ენისათვის განსაზღვრული კრედიტები, ასევე, 38 კრედიტიანი მოდული, თუმცა, შეიძლებოდა რეკომენდაციის გათვალისწინება და არჩევითი კურსების გაზრდა.

ზაზა მარუაშვილმა აღნიშნა, რომ საერთოდ არ იყო წარმოდგენილი პროგრამაში არჩევითი სასწავლო კურსები, მხოლოდ მოდულის შეთავაზება არ იყო საკმარისი. სასურველი იყო არჩევით კურსებისთვის გათვალისწინებული ყოფილიყო 48 კრედიტი მაინც. ასევე, პროგრამაში არ იყო შეთავაზებული მარკეტინგის მოდული, ბუღალტერია, საბანკო საქმე, გამოთქვა მოსაზრება, რომ აღნიშნული შეიძლებოდა გამოწვეული ყოფილიყო ადამიანური რესურსის დეფიციტით.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, საბჭოს წევრის მიერ ჩამოთვლილი სასწავლო კურსები სამაგისტრო საფეხურს უფრო შეესაბამებოდა, ვიდრე საბაკალავროს, ამდენად, მათი მხრიდან შეგნებულად არ მოხდა კურსების პროგრამაში გათვალისწინება, ივარაუდეს, რომ ამას შეიძლებოდა ექსპერტთა მხრიდან უარყოფითი შეფასებები მოჰყოლოდა.

ზაზა მარუაშვილმა აღნიშნა, რომ ეს არ იყო გემოვნების საკითხი, საბჭოს ჩამოყალიბებული პოზიცია ჰქონდა საკითხთან დაკავშირებით და ურჩია დაწესებულებას, გაცნობოდნენ პროგრამების ანალოგებს.

დაწესებულების წარმომადგნელემა აღნიშნა, რომ იცნობდნენ პროგრამების ანალოგს და მათი პროგრამა მინისტრის №120/ნ ბრძანებასთან შესაბამისობაში იყო მოსული.

სასწავლო ლიტერატურის განახლებასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენლემა აღნიშნა, რომ ჰქონდათ მდიდარი ბიბლიოთეკა, ამასთან, მოტივირებული იყო დაწესებულების ხელმძღვანელიც, რომ თუ იარსებებდა ახალი გამოცემა, აუცილებლად გამოეყენებიათ და ჩაენაცვლებიათ, რაც ქართულად იქნებოდა.

ექსპერტის მოსაზრებით, დაწესებულებას თავად უნდა უზრუნველეყო ლიტერატურის თარგმნა, თუ ქართულ ენაზე შესაბამისი გამოცემები არ არსებობდა.

ზაზა მარუაშვილმა აღნიშნა, რომ არჩევითობის ხარისხი პროგრამაში დაბალი იყო, ასევე, სპეციალობის მოდულში არ სრულდებოდა 120 კრედიტი, ეს მისთვის მიუღებელი იყო, არ იყო საჭირო ცხარე დისკუსიის გამართვა, როდესაც ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამა მზადდებოდა, აუცილებელი იყო მასში აღნიშნული მოთხოვნების დაცვა.

დავით კახნიაშვილი დაინტერესდა სტუდენტები თუ ირიცხებოდნენ წარმოდგენილ პროგრამაზე. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პროგრამა ახალი იყო და სტუდენტები პროგრამაზე არ ჰყავდათ.

15:50 საათზე სხდომაზე გამოცხადდა შესვენება. სხდომა განახლდა 16:15 საათზე. სხდომის თავმჯდომარემ დამსწრე საზოგადოებას გააცნო მიღებული გადაწყვეტილებები:

- შპს - ევროპის სასწავლო უნივერსიტეტის ქართულ ენაში მომზადების პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია (მომხრე - 6; წინააღმდეგი - 0);
- შპს - ევროპის სასწავლო უნივერსიტეტის ტურიზმის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამას უარი ეთქვა აკრედიტაციაზე (მომხრე - 0; წინააღმდეგი - 6);
- შპს - ევროპის სასწავლო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამას უარი ეთქვა აკრედიტაციაზე (მომხრე - 0; წინააღმდეგი - 6).

ირაკლი მაჩაბელმა განაცხადა თვითაცილება საბჭოს დღს წესრიგით განსაზღვრულ მე-4 და მე-5 საკითხებზე. საბჭოს გადაწყვეტილებით სხდომას გაუძღვა დავით კახნიაშვილი.

16:20 წუთზე სხდომა დატოვა ნანა გაფრინდაშვილმა.

4. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ბიოტექნოლოგიის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის დასახელება	ბიოტექნოლოგია
განათლების საფეხური	დოქტორანტურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ბიოლოგიის დოქტორი
სწავლების ენა	ქართული
კვალიფიკაციის კოდი	0504
კრედიტების რაოდენობა	180

საკითხი საბჭოს წინაშე წარადგინეს ექსპერტმა ლია მაჭავარიანმა და ბესარიონ ლასარეიშვილმა.

ექსპერტმა საბჭოს გააცნო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული მოსაზრებები პროგრამის გაუმჯობესების თაობაზე:

- პროგრამაში დარგობრივი უცხო ენა (10 ECTS) სავალდებულო კურსების ჩამონათვალშია მოცემული, რაც თავისთავად ურიგო არ იქნებოდა, მაგრამ სილაბუსების შესწავლისას გამოჩნდა, რომ ენის სწავლება იწყება B1 დონიდან, მაშინ როდესაც სადოქტორო პროგრამაზე მიღების წინაპირობად უცხო ენის B2 დონეა მიჩნეული. შესაბამისად, დოქტორანტებისთვის, რომლებსაც უკვე ჩაბარებული აქვთ B2 დონე, უფრო დაბალი დონის გავლაზე, ანდა მეორე უცხო ენის შესწავლაზე ზედმეტი დროის ხარჯვა 10 კრედიტის ოდენობით, გაუმართლებლად მიგვაჩნია. ამიტომ კომისიამ მიზანშეწონილად ჩათვალა უცხო ენის არჩევით კურსებში გადატანა და მეტი აქცენტის გაკეთება დარგობრივ ასპექტებზე.
- პროგრამის მიღების წინაპირობად, უცხო ენის გამოცდის გარდა, გათვალისწინებულია გასაუბრება ბიოლოგიაში. დარგობრივი ცოდნის უკეთ შესაფასებლად, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ბიოლოგიის ნაცვლად გასაუბრება ჩატარდეს ზოგად ბიოტექნოლოგიაში.
- ვინაიდან დოქტორანტურა სწავლების მაღალ საფუხურს წარმოადგენს, რომელშიც პროფესიონალი ვიწრო სპეციალიზაციას იძენს, მიზანშეწონილად მიგვაჩნია პროგრამაში არჩევით დარგობრივ კურსებში ბიოტექნოლოგიის ზოგადი კურსის ნაცვლად ჩაისვას ბიოტექნოლოგიის სპეციალური/კერძო კურსები; ასევე სასურველი იქნება თუ სადოქტორო პროგრამაში საუნივერსიტეტო არჩევით კურსებში ჩაირთვება საგანი ბიოსტატისტიკა, რადგან იგი გარკვეულ დახმარებას გაუწევს ახალგაზრდა მეცნიერს სამეცნიერო კვლევების შედეგების დამუშავებასა და ანალიზში.
- პროგრამისთვის სასარგებლოდ მიგვაჩნია, თუ სადოქტორო პროგრამაზე მიღების წინაპირობები გაფართოვდება და განაცხადის შეტანა შეეძლება არა მხოლოდ ბიოლოგიის და მედიცინის მაგისტრებს (ან მასთან გათანაბრებული ხარისხის პირებს), არამედ აგრარული, სავეტერინარო და საბუნებისმეტყველო (ქიმია, ფიზიკა) სპეციალობების მაგისტრებსაც.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს მოსაზრებების გამოთქმის შესაძებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს თანამშრომლობისა და რეკომენდაციებისთვის. ბიოსტატისტიკის სასწავლო კურსის პროგრამაში გათვალისწინებასთან დაკავშირებით წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ შესაბამისი სასწავლოკურსი არ გაითვალისწინეს პროგრამაში, რადგან სამაგისტრო პროგრამაც ჰქონდათ შესაბამისი მიმართულებით, სადაც აღნიშნული საწავლება მიმდინარეობდა, თუმცა, გასათვალისწინებელი იყო ისიც, რომ პროგრამაზე შეიძლებოდა ჩარიცხულიყო სხვა უნივერსიტეტის კურსდამთავრებული, რომელსაც შესაბამისი სასწავლო კურსი გავლილი არ ჰქონდა, ამდენად, სამომავლოდ გაითვალისწინებდნენ ამ რეკომენდაციას და არჩევით კურსის სტატუსით შესთავაზებდნენ დოქტორანტებს შესაბამის სასწავლო კურსს.

დ. კანდელაკი

5. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ეკოლოგიისა და გარემოს დაცვის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის დასახელება	ეკოლოგია და გარემოს დაცვა
განათლების საფეხური	დოქტორანტურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ეკოლოგიის დოქტორი
სწავლების ენა	ქართული
კვალიფიკაციის კოდი	1102
კრედიტების რაოდენობა	180

საკითხი საბჭოს წინაშე წარადგინეს ექსპერტმა ლია მაჭავარიანმა და ბესარიონ ლასარეიშვილმა. ლია მაჭავარიანმა აღნიშნა, რომ ძალიან კარგი აურა იყო დაწესებულებაში, ამასთან, მნიშვნელოვანი იყო ის, რომ პრიგრამის ხელმძღვანელი, მისი კვალიფიკაციიდან გამომდინარე იყო ერთგვაერო გარანტი, პროგრამის წარმატებით განხორციელების, განაპირობებდა პროგრამის მდგრადობას. ასევე, ექსპერტის თქმით, მისასალმებელი იყო პერსონალის კვალიფიკაცია და ენთუზიაზმი, მთლისანობაში, ექსპერტებს შეეძლოთ დაედასტურებინათ რომ ის, რაც პროგრამის დოკუმენტაციაში იყო ასახული, დაწესებულების რესუსრებიდან გამომდინარე, მიღწერვადი იყო.

ექსპერტმა საბჭოს გააცნო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული მოსაზრება პროგრამის გაუმჯობესების თაობაზე:

პროგრამაში დარგობრივი უცხო ენა (10 ECTS) სავალდებულო კურსების ჩამონათვალშია მოცემული, რაც თავისთავად ურიგო არ იქნებოდა, მაგრამ სილაბუსების შესწავლისას გამოჩნდა, რომ ენის სწავლება იწყება B1 დონიდან, მაშინ როდესაც სადოქტორო პროგრამაზე მიღების წინაპირობად უცხო ენის B2 დონეა მიჩნეული. შესაბამისად, დოქტორანტებისთვის, რომლებსაც უკვე ჩაბარებული აქვთ B2 დონე, უფრო დაბალი დონის გავლაზე, ანდა მეორე უცხო ენის შესწავლაზე ზედმეტი დროის ხარჯვა 10 კრედიტის ოდენობით, გაუმართლებლად მიგვაჩნია. ამიტომ კომისიამ მიზანშეწონილად ჩათვალა უცხო ენის არჩევით კურსებში გადატანა და მეტი აქცენტის გაკეთება დარგობრივ ასპექტებზე.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა. დაწესებულების რექტორმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს და საბჭოს მხარდაჭერისათვის.

პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ ექსპერტები ღრმა ცოდნით გამოირჩეოდნენ და საკმაოდ საინტერესო და საქმიანი შეხვედრები გამიმართა, ამდენად, მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს.

ზაზა მარუაშვილმა აღნიშნა, რომ საბჭოს ბევრი პროგრამის გაცნობა მოუხდა მუშაობის მანძილზე, მათ შორის აღნიშნული დაწესებულების მრავალი პროგრამის და შეეძლოთ ეთქვათ, რომ თუ ყველა არა, მრავალი მათგანი ძალიან მაღალ დონეზე იყო შესრულებული, ამდენად, მადლობა უნდოდა გადაეხადა ამ დაწესებულებისათვის. ასევე, ექსპერტებს არაერთვაროვანი მიდგომა ჰქონდათ, ზოგი ახალი იყო და მისასალმებელი იყო, რომ საკითხს მეცნიერულად უდგებოდნენ, საბჭო ზოგჯერ ითალისწინებდა მათ მიდგომებს და ზოგჯერ არა, ჰქონდათ უფლება არ დათანხმებოდნენ ექსპერტს, აქედან გამომდინარე ზოგეს ეჩვენებოდა რომ საბვჭო ნარცისიზმით იყო შეპყრობილი, ხოლო ზოგი არაობიექტურიობაში ადანაშაულებდა. თითქოს საყვედურობდნენ, რომ აღნიშნული უნივერსიტეტის მიმართ ტენდენციურები და არაობიექტურები იყვნენ, თუმცა, არაობიექტურობაზე არ შეიძლებოდა ყოფიოყიო საუბარი იმდენად, რამდენადაც მათ ხუთ პროგრამას უარი უთხრეს აკრედიტაციაზე. ზაზა მარუაშვილს დაეთანხმნენ საბჭოს დანარჩენი წევრებიც.

6. ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის მედიაინჟინერიის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის დასახელება	მედიაინჟინერია
განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	მაგისტრი ინფორმაციულ ტექნოლოგიებში
სწავლების ენა	ქართული
კვალიფიკაციის კოდი	040101
კრედიტების რაოდენობა	120

საკითხი საბჭოს წინაშე წარადგინა ნანა იაშვილმა, რომელმაც აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასაკვნა დადებითი იყო, პროგრამა იყო ახალი და სტუდენტებიდ ა მაშასადამე კურსდამთავრებულებიც ჯერ არ ჰყავდათ. დაწესებულებას პროგრამის განსახორციელებლად ჰქონდა მაღალი ინტელეატუალური რესურსი, ძალიან კვალიფიციური კადრები, ექსპერტმა გამოხატა სიმპათია დაწესებულების ადამიანური რესურსის მიმართ. ასევე, დააზუსტა, რომ მცირედი შესწორებები შევიდა პროგრამაში ვიზტის განმავლობაში.

ექსპერტმა საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული მოსაზრებები პროგრამის გაუმჯობესების თაობაზე:

- პროგრამაზე დაშვების ერთ-ერთ წინაპირობად განსაზღვრულია ინგლისური ენის ტესტის ჩაბარება, რომლითაც დასტურდება მაგისტრანტის ტექნიკური ინგლისური ცოდნა. იქიდან გამომდინარე, რომ სასწავლო მასალა მოიცავს არამხოლოდ ტექნიკურ ტერმინებს და საჭიროებს ინგლისური ენის ღრმად ცოდნას, სასურველია დაკონკრეტდეს ინგლისური ენის კონკრეტული დონე (B1,B2 ან/და სხვა) ან მიეთითოს შესაბამისი სერთიფიკატის წარმოდგენის შესაძლებლობა;
- რამოდენიმე სილაბუსი საგნის შინაარსით გადის გარკვეულ კომპეტენციებზე, ხოლო პროგრამის ბადეში/მატრიცაში ასახული არ არის, სასურველია გასწორდეს.

ექსპერტის თქმით, პროგრამა საინტერესო და პერსპექტიული იყო.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა. დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა საბჭოს და ექსპერტთა ჯგუფს თანამშრომლობისთვის, მისი თქმით, აკრედიტაციის ყველა ვიზტი სასარგებლო აღმოჩნდა მათთვის და ითვალისწინებდნენ ექსპერტთა რეკომენდაციებს.

ზაზა მარუაშვილი დაინტერესდა კვლევითი კომპონენტით, რა სახით იყო იგი წარმოდგენილი. ექსპერტმა აღნიშნა, რომ გათვალისწინებული იყო როგორც ვიზუალური ნაშრომი, ისე კვლევაც.

წარმომადგენლის განმარტებით, პროგრამაში ცალკე იყო წარმოდგენილი პრაქტიკული და კვლევით კომპონენტები. ზაზა მარუაშვილმა არ გაიზიარა საკითხისადმი მიდგომა.

16:50 საათზე სხდომაზე გამოცხადდა შესვენება. სხდომა განახლდა 16:55 საათზე. სხდომის თავმჯდომარემ დამსწრე საზოგადოებას გააცნო მიღებული გადაწყვეტილებები:

- ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ბიოტექნოლოგიის სადოქტორო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია (მომხრე - 4; წინააღმდეგი - 0);
- ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ეკოლოგიისა და გარემოს დაცვის სადოქტორო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია (მომხრე - 4; წინააღმდეგი - 0);
- ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის მედია-ინჟინერიის სამაგისტრო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია (მომხრე - 5; წინააღმდეგი -0).

ყველა საკითხის განხილვის დასრულების შემდეგ, 17:00 საათზე სხდომა დახურულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე
ირაკლი მაჩაბელი

მდივანი
მაია ჩიხლაძე